



## მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ობიექტი: ამბულატორიული კლინიკა (პოლიკლინიკა)

მესაკუთრე: ს.ს. „საქართველოს კლინიკები“

მისამართი: ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2 (ნაკვეთი №2)

ს.კ. 03.05.26.023

დირექტორი:

/გ. ჩოგოვაძე/

შეადგინა:

/ო. ბერაძე/



2026  
წელი

## განმარტებითი ბარათი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების – ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ და სამშენებლო ნორმებისა და წესების ს.ნ. და წ. 3.01.01.-85 „მშენებლობის ორგანიზაციის“ მიხედვით.

მოპ-ის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო სამშენებლო დოკუმენტის პროექტი, ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება.

მშენებლობის დაწყება დასაშვებია სათანადო ორგანოებიდან ნებართვის აღების შემდეგ. მშენებლობა უნდა მიმდინარეობდეს ტექნოლოგიური თანმიმდევრობით კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. დაუშვებელია დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გადაწყვეტილებებიდან გადახვევა.

მშენებლობისათვის საჭირო ელექტრო მომარაგება, წყალმომარეგება და კანალიზაცია უნდა განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული ქსელებიდან.

### მშენებლობის პირობები და ობიექტის დახასიათება

მშენებლობა გათვალისწინებულია ქალაქ ქუთაისში, სამშენებლო კლიმატოლოგიის ნორმები (პნ 01-05-08) მოიცავს კლიმატურ პარამეტრებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტის დროს.

1. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე - 0 სმ.
2. თოვლის საფარის წონა - 0.5 კპა.
3. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 26 დღე.
4. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა - 0.73 კპა.
5. ქარის უდიდესი სიჩქარე - 39 მ/წმ.
6. სიმაღლე ზღვის დონიდან - 140.0 მ (ტოპოგრაფიის მიხედვით)

საქართველოს მთელი ტერიტორიის სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობის გამო სამშენებლო ნორმები და წესები – „სეისმომდევნო მშენებლობა“ (პნ 01.01.09) ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე, როგორც ახალმშენებარე, ასევე სარეკონსტრუქციო, გასაძლიერებელი და აღსადგენი საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობა-ნაგებობების დაპროექტებაზე. ს.ნ და წ. – გამოყენება უნდა მოხდეს სამშენებლო დარგში სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან ერთობლიობაში.

სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით სეისმურობა არის – 8 ბალი.

დაპროექტების და მშენებლობის დროს დაცული უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესების მოთხოვნები.

პროექტით გათვალისწინებულია ს.ს. „საქართველოს კლინიკების“ კუთვნილ მიწის ნაკვეთში, მდებარე: ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. №2 (ნაკვეთი №2) ს.კ. 03.05.26.023-ში სამსართულიანი ამბულატორიული კლინიკის (პოლიკლინიკის) მშენებლობა, რომელიც განთავსდება ტერიტორიაზე არსებული 5-სართულიანი მრავალპროფილური საავადმყოფოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადის მხრიდან 13.57 მ-ის მოცილებით. ტერიტორია შემოღობილია საკადასტრო საზღვარში. მშენებარე პოლიკლინიკის გარშემო უნდა მოეწყოს დროებითი შემოღობვა (იხ. სამშენებლო გენგეგმა). სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან გამოყენებული იქნეს ისეთი მასალა - შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში.

შენობა არის სამსართულიანი. ძირითადი კონსტრუქციული ელემენტებია: რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილა, რკინა-ბეტონის მონოლითური ჩარჩო და სართულშუა გადახურვა, კედლები - წვრილი ბეტონის ბლოკის, სახურავი - ბრტყელი, პარაპეტის ნაწილი მონყობილია ბლოკის წყობით.

შენობის განაშენიანების ფართობი – 1078.0 მ<sup>2</sup>.

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 13.85 მ<sup>2</sup>.

საკადასტრო რუკის მიხედვით ნაკვეთის ფართობი – 6211.0 მ<sup>2</sup>.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ მიხედვით შენობა-ნაგებობების კლასების მახასიათებლების გათვალისწინებით შენობა მიეკუთვნება III კლასს.

## **სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მშენებლობის უსაფრთხოების წესები**

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოეწყოს სამშენებლო მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. სამშენებლო მოედნის საზღვრები, როგორც წესი, უნდა მოექცეს მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

მშენებლობაზე მომუშავეთა სამუშაო-ჰიგიენური პირობების დაცვისა და შრომის სწორი ორგანიზებისათვის გენგეგმაზე დატანილია დამხმარე სათავსოები და WC, რომელთა აღებაც მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების დაწყებამდე.

მშენებლობის ყველა ობიექტზე უნდა იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა.

სამშენებლო მოედანზე სამუშაოები ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“, 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477 - ტექნიკური რეგლამენტი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ და დაცული იქნეს 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების კოდექსის“ მოთხოვნები.

სამუშაოს დაწყებამდე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესების დაცვაზე. უსაფრთხოების დაცვის წესები და პროცედურები, აგრეთვე მათი დაცვისათვის პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები დგინდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით საქართველოს კანონის შესაბამისად.

მშენებლობის უსაფრთხოების წესები ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე. საჭიროა დაცულ იქნეს ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიება თანახმად „ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას“, ს.ნ. და წ 2.01.02-91-ის მიხედვით და საქართველოს მთავრობის 23.07.2015 წლის დადგენილება №370 - ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების“ შესახებ.

ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბანი, გასასვლელელები და მისასვლელელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული. ხარაჩოები უნდა დაიდგას სამუშაოთა წარმოების პროექტის შესაბამისად და დატვირთვების ამტანუნარიანობის გათვალისწინებით, მათი მდგრადობის უზრუნველყოფით.

ყველა ძირითადი საპროექტო კონსტრუქცია არის მონოლითური. მზა ბეტონის მიწოდება მოხდეს ბეტონტუმბოს საშუალებით, რომლის დგომაც შესაძლებელია ეზოს შიგნით.

სამშენებლო მოედანზე ბეტონის მოსამზადებლად გამოყენებული ბეტონმრევისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს მათი უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის მწარმოებლის მიერ დადგენილი წესებით. მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარის ელემენტებზე მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია.

დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15 მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილისა და ნისლის დროს, როდესაც სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია.

სიმაღლეზე სამუშაოების შესრულებისას ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულია პრევენციული ღონისძიებები იმ სამუშაოებზე, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე. აუცილებელია შენობებს მთელ პერიმეტრზე გაუკეთდეს დამცავი მოაჯირი ბადით. სტაციონალური და გადასატანი ხარაჩოების მოაჯირები უნდა იყოს 90-120 სმ სიმაღლის და ზედა ძელი უნდა უძლებდეს 5 სმ-ის დინსტანციიდან 90 კგ-ის

მიწოდებით დატვირთვას. ბოძებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 3 მ-ს, სამუშაო პლატფორმის სიგანე არ უნდა იყოს 80 სმ-ზე ნაკლები, ხოლო ფიცრებს ან ლითონის ფურცლებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 3 სმ-ს.

შენობას მთელ პერიმეტრზე უნდა გაუკეთდეს დამცავი ბადე.

სამშენებლო მოედანზე შესვლა უნდა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული უნდა იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამუშაოთა წარმოების დროს.

მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით.

სამშენებლო მოედანზე საჭიროების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით, განსაკუთრებით ამნის მუშაობის დროს. მცირე ზომის მასალების სართულებზე მისაწოდებლად გამოყენებული იქნეს ამწესანვევლები.

მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების განთავსებისას მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათი ჩამოცურების, ჯდენის, ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

მტვრისებრი მასალები უნდა ინახებოდეს სათავსებში. დატვირთვა-დაცლის სამუშაოთა წარმოების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათი გაფანტვისა და გამტვერვის თავიდან ასაცილებლად. მაგნი ან აფეთქებასაშიში გამხსნელი მასალები აუცილებლად უნდა ინახებოდეს ჰერმეტიკულად დახურულ ტარაში.

მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს.

ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონით - „სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად.

## **დაფარული სამუშაოების აქტების ჩამონათვალი**

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დამთავრებისთანავე, შემდეგი სამუშაოს დაწყებამდე, რომელიც გამოიწვევს მის დაფარვას, ადგილზე გამოკვლევის შემდეგ უნდა შედგეს ფარული სამუშაოების აქტი – მშენებლობის მწარმოებლის მიერ.

ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დათვალიერების შემდეგ უნდა შედგეს ფარული სამუშაოების აქტი:

1. შენობის ღერძების დაკვაღვა.
2. საძირკვლებისათვის მოწყობილი ქვაბულის დათვალიერება.
3. საძირკვლის ქვეშ ფუძეების მოწყობა.
4. საძირკვლის მოწყობა.

5. რკინა-ბეტონის მონოლითური ჩარჩოს სვეტების მოწყობა სართულების მიხედვით.
6. რკინა-ბეტონის მონოლითური ჩარჩოს რიგელებისა და ფილის მოწყობა სართულების მიხედვით.
7. კედლების სვეტებთან დაკავშირება.
8. ბეტონირების წინ ყალიბის შესაბამისობის დადასტურების აქტი.
9. სახურავის შრეების დათვალიერება.

წყალკანალიზაციისა და ელექტროქსელების დაერთება მოხდეს არსებულ ქსელებთან.

შრომატევადობები ცალკეული სამუშაოების მიხედვით აღებულია ს.6. და წ. 4.02.91-ის და EH -ის შესაბამისი კრებულის მიხედვით.

## **გარემოს დაცვა და ეკოლოგია**

სამშენებლო მოედანზე წარმოების პროცესში აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრვალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა.

საცხოვრებელ რაიონებში მშენებარე ობიექტების სიახლოვეს აკრძალულია ბეტონის ნარევის დამზადება.

დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭაში ბეტონისა და ცემენტის ხსნარის მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

იკრძალება ნარჩენებისა და სამშენებლო ნაგვის გადმოყრა დახურული ღარებისა და ბუნკერ-მაგროვებლების გარეშე.

თუ მშენებლობის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა, შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა.

ფხვიერი სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირების დროს ავტომანქანის ძარაში ჩატვირთვის შემდეგ ზედაპირი უნდა დაინამოს ან დაიფაროს დამცავი საფარით.

სამშენებლო მოედნიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოსვლის წინ საჭიროა მათი საბურავების გარეცხვა, რათა ადგილი არ ქონდეს ქალაქის ქუჩების დაბინძურებას.

## **მშენებლობის განხორციელების ვადები და ეტაპები**

მთავრობის N255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ - მუხლი 18

„მშენებლობის ორგანიზების პროექტის“ დ.ბ) პუნქტის მიხედვით III კლასის მშენებლობისას კალენდარულ გრაფიკში გათვალისწინებული უნდა იქნეს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 ეტაპი.

მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება შენობის დანიშნულების, სართულიანობისა და გამოყენებული მასალების შესაბამისად ს.ნ და ნ. 1.04.03-85-ის გათვალისწინებით. 8-9 ბალთან სეისმურ რაიონებში სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებისათვის სეისმურობის კოეფიციენტი აიღება  $K=1,15$  მშენებლობის ვადების განსაზღვრის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მშენებლობის მომარაგება, როგორც საწარმოო ძალებით, ისე წარმოების საშუალებებითა და მასალებით, ხდება არაცენტრალიზირებულად, არამედ დამკვეთისა და მშენებლის მიერ პირადად, ამიტომ ვადების განსაზღვრა მოხდეს რეალური მატერიალურ-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით – გონივრული ვადით.

მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვროს 18 თვით.

მოსამზადებელი რიგი სამუშაოები შედგება ორი ეტაპისაგან:

1. მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო მოედნის მოწესრიგებას და საჭიროების შემთხვევაში მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანას – შესაბამის ძირითად საინჟინრო-კომუნალური ქსელების მფლობელი კომპანიების მიერ ტექნიკური ზედამხედველობის განწევით.

2. შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

**მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგი სამუშაოები დაყოფილია**

**შემდეგ ეტაპებად:**

- 1) შენობის მიწის სამუშაოები, ფუძისა და საძირკვლის მოწყობა.
- 2) შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა  $\text{E}0.00$  ნიშნულამდე.
- 3) შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა  $3.30$  ნიშნულამდე.
- 4) შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა  $6.60$  ნიშნულამდე.
- 5) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა  $12.12$  ნიშნულამდე; სახურავისა და გადახურვის მოწყობა.
- 6) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა. გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები.
- 7) ლიფტის მონტაჟი.
- 8) მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებისას ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი. მორიგი ეტაპის დასრულებამდე არსებული ოქმი წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და ამ ორგანოებში რეგისტრაციის

შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების მუხლი 26, პუნქტი 6-ის მიხედვით.

ოქმის შედგენის სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს. ეტაპის დასრულების შესახებ ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონით - „სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამის პასუხისმგებლობას.

ა.ძე



## შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი

| N  | სამუშაოს ჩამონათვალი   | განზ. | რაოდ  |
|----|--|-------|-------|
|    | <b>დემონტაჟი</b>   |       |       |
| 1. | არსებული ბეტონის გზის დაშლა  | მ³    | 88.1  |
| 2. | არსებული პანდუსების დაშლა  | მ³    | 56.0  |
| 3. | არსებული ლითონის ლობის დემონტაჟი   | ტ     | 1.5   |
| 4. | არსებული ლობის ბეტონის ბორდიურის დაშლა   | მ³    | 3.2   |
| 5. | სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ავტომანქანაზე და გატანა 12.0 კმ-ზე                                | მ³    | 148.2 |
|    | <b>კედლები</b>   |       |       |
| 1. | წვრილი ბეტონის ბლოკის კედელი სისქით 20 სმ.   | მ³    | 222.4 |
| 2. | წვრილი ბეტონის ბლოკის კედელი სისქით 40 სმ.   | მ³    | 31.7  |
|    | <b>ტიხარი</b>  |       |       |
| 1. | წვრილი ბეტონის ბლოკის ტიხარი სისქით 10 სმ.   | მ²    | 322.8 |
|    | <b>იატაკი</b>  |       |       |
| 1. | ქვიშანარევი ხრეში სისქით 40 სმ   | მ³    | 132.8 |
| 2. | ღორღის ფენა სისქით 15 სმ   | მ³    | 49.8  |
| 3. | ბეტონის ქვედა ფენა სისქით 10 სმ  | მ³    | 33.2  |
| 4. | დამათბუნებელი წილის ფენა სისქით 4 სმ   | მ³    | 26.5  |
| 5. | ექსტრუდირებული პოლისტირონის ქაფი (XPS) სისქით 5 სმ   | მ²    | 332.0 |
| 6. | ბიტუმიანი ლენტი გადასახურავი ხალიჩით   | მ²    | 996.0 |
| 7. | მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით სისქით 3 სმ   | მ²    | 332.0 |
| 8. | მაღალხარისხოვანი მოუჭიქავი კერამიკული ფილების დაგება   | მ²    | 996.0 |
|    | <b>სახურავი</b>  |       |       |
| 1. | ექსტრუდირებული პოლისტირონის ქაფი (XPS) სისქით 10 სმ  | მ²    | 363.0 |
| 2. | მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით სისქით 3 სმ   | მ²    | 363.0 |
| 3. | ბიტუმიანი ლენტი გადასახურავი ხალიჩით ორი ფენა სისქით 0.8 სმ                                    | მ²    | 726.0 |
| 4. | წყალმიმღები ძაბრების მოწყობა გალვანიზირებული ფერადი თუნუქით სისქით 0.5 მმ                      | ც     | 3     |
| 5. | წყალსაწრეთი მილების მოწყობა გალვანიზირებული ფერადი თუნუქით სისქით 0.5 მმ                       | გრძ.მ | 32.1  |
| 6. | წყალმიმღები მუხლების მოწყობა გალვანიზირებული თუნუქის ფურცლებით სისქით 0.5 მმ                   | ც     | 3     |
|    | <b>ფანჯარა</b>   |       |       |
| 1. | მინაპაკეტით შემინული ფანჯარა ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 1.10 მ.X1.65 მ. – 37 ც. | მ²    | 56.3  |

|                     |  |    |        |
|---------------------|--|----|--------|
| 2.                  | მინაპაკეტით შემინული ფანჯარა ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 0.6 მ.X1.65 მ. – 9 ც.                           | მ² | 8.9    |
| 3.                  | მინაპაკეტით შემინული ფანჯარა ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 0.8 მ.X1.65 მ. – 8 ც.                           | მ² | 10.6   |
| <b>ვიტრაჟი</b>      |  |    |        |
| 1.                  | მინაპაკეტით შემინული ვიტრაჟი ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 1.40 მ.X2.70 მ. – 3 ც.                          | მ² | 15.9   |
| 2.                  | მინაპაკეტით შემინული ვიტრაჟი ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 1.44 მ.X2.70 მ. – 4 ც.                          | მ² | 15.5   |
| 3.                  | მინაპაკეტით შემინული ვიტრაჟი ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე ორფრთიანი შემინული კარით - ზომით 4.30 მ.X2.77 მ. – 1 ც. | მ² | 11.9   |
| 4.                  | მინაპაკეტით შემინული ვიტრაჟი ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 1.74 მ.X2.77 მ. – 1 ც.                          | მ² | 4.8    |
| 5.                  | მინაპაკეტით შემინული ვიტრაჟი ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 2.625 მ.X2.77 მ. – 1 ც.                         | მ² | 7.3    |
| 6.                  | მინაპაკეტით შემინული ვიტრაჟი ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 1.19 მ.X2.50 მ. – 2 ც.                          | მ² | 5.9    |
| 7.                  | მინაპაკეტით შემინული ვიტრაჟი ალუმინის მაღალხარისხოვან კარკასზე - ზომით 0.94 მ.X2.77 მ. – 4 ც.                          | მ² | 10.4   |
| <b>კარები</b>       |  |    |        |
| 1.                  | ლითონის ცალფრთიანი შემინული კარი ზომით 0.90 მ.X2.10 მ. – 9 ც.  | მ² | 17.0   |
| 2.                  | მღფ-ის ყრუ ცალფრთიანი კარი ზომით 0.90 მ.X2.10 მ. – 48 ც.   | მ² | 90.7   |
| 3.                  | მეტალოპლასტმასის ყრუ ცალფრთიანი კარი ზომით 0.90 მ. X 2.10 მ. – 1 ც.  | მ² | 1.9    |
| 4.                  | მეტალოპლასტმასის ყრუ ცალფრთიანი კარი ზომით 0.80 მ. X 2.10 მ. – 29 ც.   | მ² | 48.7   |
| <b>შიგა მოსახვა</b> |  |    |        |
| 1.                  | კედლების შეღესვა რთული ხსნარით, მომზადება შესაღებად და შეღებვა წყალემულსიური საღებავით ორი ფენა                        | მ² | 2399.0 |
| 2.                  | კედლებზე მოჭიქული კერამიკული ფილების გაკვრა  | მ² | 580.1  |
| 3.                  | შეკიდული ჭერის მოწყობა თაბაშირ-მუყაოს პანელებით, მომზადება შესაღებად და შეღებვა წყალ-ემულსიური საღებავით ორი ფენა      | მ² | 996.0  |
| <b>გარე მოსახვა</b> |  |    |        |
| 1.                  | ფასადის მაღალხარისხოვანი შეღესვა და შეღებვა ფასადის წყალმედეგი საღებავით ორი ფენა                                      | მ² | 803.3  |
| 2.                  | ფასადზე ალუმინის პანელების გაკვრა („ალუკაბონდი“)   | მ² | 180.5  |
| 3.                  | ზეძირკველზე ბუნებრივი გრანიტის ქვის გაკვრა   | მ² | 34.2   |

|    | <b>გარე კიბეები</b>  |       |        |
|----|--|-------|--------|
| 1. | კიბის კედლების მოწყობა გაძლიერებული ბეტონისაგან სისქით 15 სმ                               | მ³    | 0.7    |
| 2. | ქვიშახრეშოვანი ნარევი  | მ³    | 3.50   |
| 3. | კიბის საფეხურებისა და ბაქნის მოწყობა გაძლიერებული ბეტონისაგან გასაშუალებელი სისქით 15.0 სმ | მ³    | 2.1    |
| 4. | კიბის საფეხურებზე და ბაქნებზე ბუნებრივი გრანიტის ქვის დაგება                               | მ²    | 2.31   |
| 5. | კიბის კედლების მოპირკეთება ბუნებრივი გრანიტის ქვით   | მ²    | 2.25   |
| 6. | კიბის მოაჯირების მოწყობა მილკვადრატებისაგან კვეთით 40 მმ X 40 მმ – 23.0 გრძ.მ.             | კვ    | 77.3   |
| 7. | კიბის მოაჯირების შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორი ფენა                                       | მ²    | 36.8   |
|    | <b>პანდუსი</b>   |       |        |
| 1. | პანდუსის კედლების მოწყობა გაძლიერებული ბეტონისაგან სისქით 15 სმ                            | მ³    | 0.4    |
| 2. | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი   | მ³    | 2.2    |
| 3. | პანდუსის მოწყობა გაძლიერებული ბეტონისაგან სისქით 8.0 სმ                                    | მ³    | 1.3    |
| 4. | პანდუსის სავალ ზედაპირზე და ბაქანზე ბუნებრივი გრანიტის ქვის დაგება                         | მ²    | 12.6   |
| 5. | პანდუსის კედლებზე ბუნებრივი გრანიტის ქვის დაგება   | მ²    | 4.8    |
| 6. | პანდუსის სახელურების მოწყობა მილკვადრატებისაგან კვეთით 40 მმ X 40 მმ - 37.4 გრძ.მ.         | კვ    | 148.1  |
| 7. | პანდუსის სახელურების შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორი ფენა                                   | მ²    | 59.8   |
|    | <b>შიგა კიბეები</b>  |       |        |
| 1. | კიბის საფეხურებზე და ბაქნებზე ბუნებრივი გრანიტის ქვის დაგება სისქით 2 სმ                   | მ²    | 144.1  |
| 2. | კიბის მოაჯირებისა და სახელურების მონტაჟი ლითონის მილებისაგან დიამეტრით $\phi 40$           | გრძ.მ | 149.4  |
|    | <b>ტერიტორიის მოწყობა წყალგამტარი ბეტონის ფილებით</b>                                      |       |        |
| 1. | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი - სისქით 25 სმ  | მ³    | 137.6  |
| 2. | შემასწორებელი ფენა ფრაქციული ღორღით - სისქით 5 სმ  | მ³    | 27.5   |
| 3. | წყალგამტარი ბეტონის ფილების დაგება - სისქით 16 სმ  | მ²    | 442,08 |



## დასკვნა

1. საკრედიტო უბანზე
2. არსებული უბანები.
3. საბანკო უბანების (ქვეყნით)
4. გეგმის აღწერა
5. დიდი სასაწყობო უბანები.
6. ავტომანქანების ავტოგადამართვის ღირებულების აღრიცხვა
7. ქვეყნითი უბანების
8. არსებული უბანების
9. საკრედიტო უბანების

ტერიტორიის ფართობი 6211 მ<sup>2</sup>  
 ტერიტორიის არსებული 31 საანგარიშო ფართობი 1843.33 მ<sup>2</sup>  
 ტერიტორიის არსებული 32 საანგარიშო ფართობი 7716.1 მ<sup>2</sup>  
 საპროექტო უბანების 31 საანგარიშო ფართობი 364.0 მ<sup>2</sup>  
 საპროექტო უბანების 32 საანგარიშო ფართობი 964.43 მ<sup>2</sup>  
 განუყოფელი და წყალგამტარი უბნის ფართობი 1244.38 მ<sup>2</sup>  
 ტერიტორიის 31 საანგარიშო ფართობი 2207.33 მ<sup>2</sup>  
 ტერიტორიის 32 საანგარიშო ფართობი 8680.53 მ<sup>2</sup>  
 საპროექტო უბანების განაშენიანების ფართობი 1141.3 მ<sup>2</sup>  
 საპროექტო ავტოგადამართვის ბათონების ფართობი  
 ავტოგადამართვის 23 ავტომობილებზე  
 კ1=0.4  
 კ2=1.4  
 კ3=0.2

სახანძრო ავტომობილის მისასვლელი გზა

სახანძრო-საპროექტო გეგმა

სახანძრო-საპროექტო გეგმა  
 სახანძრო-საპროექტო გეგმა  
 საპროექტო უბანების 160.0 მ

სახანძრო და საპროექტო  
 ტერიტორიების  
 განაშენიანების გზის  
 მოხვედრის შიდა რაოდენობა

დირექტორი  
 პრ. ავტორი

ბ. ნიკოლაძე  
 თბილისი

ს.ს. "საქართველოს კლინიკური" ს.  
 კუთვნილი მიწის ნაკვეთი 3  
 სართულიანი ავტოგადამართვის  
 კლინიკის პროექტი  
 ქ. თბილისი, ლ. გ. გ. (ნაკვეთი №2)  
 (03.05.26.023)

შ.პ.ს.  
 "გეოლოგი"

დაკვეთა

ფურცელი

საქართველო ბანკი

მ. 1:500

2026